ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7952062

ნომერი: AR11143493

თარიღი : 02.06.2026

გაცემის თარიღი : 09.06.2026

გაცნობის თარიღი : 09.06.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ალ. ყაზბეგი , N 34;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ელიზბარაშვილი პ/ნ 01002011119
- თბილისი გლდანი VIII მ/რ კორ. 1 ბ. 133

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  კორექტირება
- დროებითი დანადგარი
  კორექტირება
- ღია ავტოსადგომის მოწყობა
  კორექტირება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019

წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი განცხადება თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი-ვაკე, ალ. ყაზბეგის გამზირი №34-ში, შპს „ლიკადონი“-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ N 01.14.03.040.014), სამსახურის მიერ 17/04/2026 წ. № 7885693 გადაწყვეტილებით გაცემული დაცვის ჯიხურის, შლაგბაუმის და ღია ავტოსადგომის განთავსების განხორციელების კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე ცვლილების შეტანას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს და გაცნობებთ, რომ სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882026012209-15/01/2026წ. საკადასტრო კოდი N 01.14.03.040.014, ასევე საპროექტო ფოტომონტაჟი, კრების ოქმი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ეთანხმება ქ. თბილისში, სექტორი-ვაკე, ალ. ყაზბეგის გამზირი №34-ში, შპს „ლიკადონი“-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ N N 01.14.03.040.014), სამსახურის მიერ 17/04/2026 წ. № 7885693 გადაწყვეტილებით გაცემული დაცვის ჯიხურის, შლაგბაუმის და ღია ავტოსადგომის განთავსების განხორციელების კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე ცვლილების შეტანის შესაძლებლობას.

გაითვალისწინეთ, მშენებლობის შეტყობინების მოქმედების ვადაა ამ შეტყობინების ჩაბარებიდან (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან) 1 წელი.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.